პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 აგვისტო, კვირა, 1988 წ.
№ 161 (9828) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ოლიმპიურ ნაკრებ გუნდებზე უკეთ...

### რესპუბლიკის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ბრწყინვალე გამარჯვება

**ახლახან** საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა გუნდი დაბრუნდა პოზნანის საერთაშორისო ტურნირიდან. ეს ტრადიციული შეჯიბრება იმავე, „ა“ კატეგორიისა გახლავთ, როგორიც ჩვენი, თბილისის საერთაშორისოა, ესე იგი, საკმაოდ პრესტიჟულად ითვლება და ჩვენი ქვეყნის ჭიდაობის მესვეურებიც პოზნანში გასაგზავნ გუნდს საუკეთესოთაგან არჩევენ. დავძენთ იმასაც, რომ საქართველოს მოჭიდავეებს არაერთხელ უასპარეზიათ ამ ტურნირში.

საქართველოს გუნდმა პირველი წონა „გამოტოვა“ — 48 კგ კატეგორიის მოჭიდავეთა კონკურსში ჩვენი წარმომადგენელი არ გამოსულა. მომდევნო წონებში თბილისელმა ზურაბ ტატუაშვილმა (52 კგ; ასკ) და სოხუმელმა ეგია მუსოიანმა (57; „დინამო“) შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს, ყვარლელმა შამილ მაჭომედოვმა (62 კგ; „შრომითი რეზერვები“) კი მეექვსე შედეგით დაასრულა შეჯიბრება. მერე ასეთი რანგის ტურნირების დებიუტანტების გორელი ხვიჩა საბაშვილის (68; პროფკავშირები) და ყვარლელი მალხაზ როზომაშვილის (74; „შრომითი რეზერვები“) გამოცდის ჯერი დადგა. საბაშვილი—მეოთხე, როზომაშვილი მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა.

82 კგ წონითი კატეგორიიდან ჩვენი მოჭიდავეების წარმატებათა სერია დაიწყო. ჯერ თბილისელმა ავთანდილ გოგოლიშვილმა („შრომითი რეზერვები“) ისახელა თავი— ყველა მეტოქეს აჯობა და პირველი ადგილი დაიკავა. მას მამუკა რაზმაძემ (90; თბილისი, „შრომითი რეზერვები“) და ზაზა ტყეშელაშვილმა (100; ვანი; „შრომითი რეზერვები“) აუბეს მხარი — ჩემპიონის ტიტულს მათაც ვერავინ შეეცილა. მძიმეწონოსანთა შეჯიბრება კი შინაურ პირველობას ჰგავდა — პირველი ადგილის ბედი გიორგი გალდავასა (თბილისი, „შრომითი რეზერვები“) და ზაზა თურმანიძის (თბილისი, ასკ) პაექრობაში გადაწყდა. თურმანიძე შეხვედრის დასაწყისშივე დაშავდა, ბრძოლის გაგრძელება ვერ შეძლო და საუკეთესოდ გალდავა გამოცხადდა. ამ წონაში კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე კიდევ ერთი ქართველი მოჭიდავე ავიდა — თბილისელმა ლევან ებანოიძემ („შრომითი რეზერვები“) მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

პოზნანში შეკრებილი 12 ქვეყნის მოჭიდავეთაგან ბევრი, რა თქმა უნდა, „ოლიმპიური რაკურსით“ ჰვრეტდა ამ ტურნირს. მასპინძელთა, თურქთა და დასავლეთგერმანელთა მწვრთნელებმა, მაგალითად, ოლიმპიური ნაკრები გუნდები გამოიყვანეს. თურქეთისა და პოლონეთის წარმომადგენლებმა არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში II და III ადგილებიც დაიკავეს, მაგრამ საქართველოს გუნდს მაინც ვერ აჯობეს — ჩვენი მოჭიდავეების მონაგარი აშკარად აღემატებოდა მათსას.


ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გალდავა.

---

საკავშირო უნივერსიადა-88

## პირველი ოქროს მედლები

**პოლტავა.** აქ დაიწყო საკავშირო უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ძიუდოში, რომელშიც მონაწილეობს ქვეყნის ყველა უძლიერესი სტუდენტი მოჭიდავე.

საქართველოს წარმომადგენლებმა პირველი, წარმატება უკვე იზეიმეს. მათ ანგარიშზეა ორი ოქროს მედალი. მძიმე წონაში ყველას აჯობა მიხეილ ხუმარაძემ, 78 კგ წონის ათლეტთა შორის კი უძლიერესი ენგურ გოგიჩაშვილი იყო.

შეჯიბრება გრძელდება.

## გადამწყვეტი ტურის წინ

**ვილნიუსი.** (დეპეშით ჩვენი სპეც. კორ.). სტუდენტთა საკავშირო უნივერსიადის ფინალური ტურნირის მორიგ ტურში საქართველოს ფეხბურთელთა მეტოქე იყო რსფსრ-ის პირველი გუნდი. დაძაბული ბრძოლის შემდეგ ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს საქართველოს წარმომადგენლებმა.

გათამაშების ბოლო ტურისთვის წინაა ლიტვის ნაკრები, რომელსაც 8 ქულა აქვს. საქართველოს ნაკრებმა 6 ქულა მოიპოვა, რსფსრ-ის პირველმა და მეორე გუნდებმა 3-3 ქულა დააგროვეს, ხოლო ლენინგრადისა და ყაზახეთის ფეხბურთელებმა — 2-2.

ტურნირის ბოლო დღეს ერთმანეთს ხვდებიან საქართველო — ყაზახეთი და ლიტვა — რსფსრ-ის პირველი გუნდი. პირველი ადგილის ბედიც ამ მატჩებში გადაწყდება.

---

### ელვა-ინფორმაცია

**მოსკოვში** მიმდინარეობს სასტენდო სროლაში მოსკოვის დიდი პრიზის გათამაშება. ოლიმპიადის მოახლოების გამო მოსკოვში მხოლოდ შვიდი ქვეყნის სპორტსმენები ჩამოვიდნენ. მიუხედავად ამისა, შედეგები ძალიან მაღალია. განსაკუთრებით მრგვალ სტენდზე.

თამაზ იმნაიშვილი გათამაშების ლიდერია. მან 150 გასროლიდან ყველა სამიზნე დააზიანა.

შეჯიბრება დღეს დამთავრდება.

---

## რაპირისტთა პრობლემები

**ტალინში** დაიწყო საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება ფარიკაობაში. ასპარეზობაში პირველად ჩაებნენ რაპირისტები. აქ სპეციალისტთა აზრით ოლიმპიური ნაკრების დაკომპლექტება ყველაზე მეტად გაძნელდა. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ამ სახეობის წარმომადგენლები, მინსკელი ა. რომანკოვის გარდა, წლევანდელ სპორტულ სეზონს ნერვიულად და არათანაბრად ატარებენ და სტაბილურ შედეგებს ვერ აჩვენებენ.

თასის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „დინამოსა“ და არმიის სპორტული კლუბის წარმომადგენლები. სეულის ოლიმპიადის საგზურის შვიდივე მაძიებელი სწორედ ამ გუნდების წევრები არიან, ოთხი მათგანი — ა. რომანკოვი (მინსკი), ბ. კორეცკი (ბაქო), ა. კლიუშინი (ლენინგრადი) და ვ. აფციაური (თბილისი) „დინამოში“ გამოდიან, სამი კი — ა. იბრაჰიმოვი (უფა), ი. მამედოვი (ბაქო), დ. შევჩენკო (მოსკოვი) არმიის სპორტული კლუბის ღირსებას იცავს. ამჯერად გამარჯვება არმიელმა მოფარიკავეებმა მოიპოვეს — 9:4, მაგრამ ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობა მაინც ვერ გაირკვა.

მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილებით შერჩევის უკანასკნელი ტური უნგრეთში მოეწყობა, სადაც ნაკრების ყველა კანდიდატი იასპარეზებს რომანკოვის გარდა. ოლიმპიურ გუნდში მას ადგილი უკვე განაღდებული აქვს. საბოლოო სახეს სეულში გასამგზავრებელი გუნდი აგვისტოს ბოლოს მიიღებს.

---

ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშები

## დღეს გადაწყდება

**დიმიტროვგრადში** დასასრულს უახლოვდება ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული მოჭადრაკე გოგონათა და ჭაბუკთა ტურნირები. ფინალურ ჯგუფში უკრაინის ნაკრებთან ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ (3:0), ჩვენმა გოგონებმა ესტონეთის ნაკრებს სძლიეს (2:1), ბოლო ტურში კი უზბეკ თანატოლებთან დამარცხდნენ — 1:2. ტურნირს 8,5 ქულით რსფსრ-ის მოჭადრაკეები ლიდერობენ, უზბეკეთის ნაკრებს 8 ქულა აქვს, საქართველოს წარგზავნილებს — 7,5. შემდეგ მოდიან ლენინგრადის (5,5), ესტონეთისა (3,5) და უკრაინის (3) გუნდები. დღეს ბოლო ტურის შეხვედრებია. საქართველოს ნაკრები რუსეთის ფედერაციის გუნდს ხვდება, უზბეკი გოგონები ესტონელ თანატოლებს ეთამაშებიან, ლენინგრადელები — უკრაინელებს. სწორედ ამ ორთაბრძოლებში გადაწყდება, ვის რომელი სინჯის მედალი შეხვდება და ვინ დარჩება საპრიზო სამეულს მიღმა.

ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკთა გუნდი, როგორც იცით, VII ადგილისთვის იბრძვის. I ტურში საქართველოს წარგზავნილები დაუზავდნენ უზბეკ თანატოლებს, მოუგეს ლიტვისა და მოლდავეთის კოლექტივებს და 12 ქულით ლიდერობენ თავიანთ ჯგუფში. დღეს აქაც ბოლო ტურის შეხვედრები მოეწყობა.

**თამარ ხუბაშვილი,**
„ლელოს“ სპეც. კორ.
ტელეფონით.

---

პრობლემებთან პირისპირ ◆ შეხვედრა „ლელოს“ თხოვნით





**ეს** შეხვედრა, როგორც „ლელოს“ 18 აგვისტოს ნომერში ვიუწყებოდით, გუშინ დილის 10 საათზე იყო დათქმული მუხიანის დასახლებაში. დანიშნულ დროზე აქ მოვიდნენ გლდანის რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები, თბილისისა და რაიონის სპორტკომიტეტების წარმომადგენლები, მოსახლეობა, „ლელოს“ წარმომადგენლები და დაინტერესებული პირები.

შეკრების მიზეზის მოკლე შინაარსი: მუხიანში ძველი სტადიონის ტერიტორიაზე დაიწყეს გარაჟების მშენებლობა, რამაც მობინადრეთა უკმაყოფილება გამოიწვია. რედაქცია იმთავითვე გაერკვა საქმის ვითარებაში, მაგრამ მოსახლეობის დარწმუნება არ მოხერხდა, კვლავ გრძელდებოდა საჩივრები. და აი, დაინიშნა შეხვედრა — ყველაფერი ადგილზე უნდა გარკვეულიყო.

ფაქტია, სტადიონი და მისი სარბენი ბილიკები განადგურდა. ახლა იქაურობა, გვერწმუნეთ, მართლაც შემზარავად გამოიყურება. მაგრამ ეს ერთი შეხედვით, საბოლოოდ კი, როცა ყველა ობიექტის მშენებლობა დასრულდება, აქ იქნება ადრინდელზე უკეთესი ფეხბურთის მოედანი (ოღონდ, სარბენი ბილიკების გარეშე), კალათბურთის და ჩოგბურთის მოედნები, გამაჯანსაღებელი ცენტრი საცურაო აუზით და სხვ. მაგრამ დღეს? დღეს, ვიმეორებთ, ყველაფერი შემზარავად და ბარბაროსულად დარბეულად გამოიყურება...

მოსახლეობას ჩვენი თანდასწრებით ამომწურავი პასუხი მისცეს გლდანის სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. კიკნაძემ და რაიონის არქიტექტორმა მ. ვარვარიძემ. რედაქცია მათ მადლობას მოახსენებს ჩვენი თხოვნით მოსახლეობასთან შეხვედრისათვის.

არ დავმალავთ, მობინადრეთა დიდი ნაწილი, რომელიც გუშინ მუხიანის სტადიონთან შეიკრიბა, გულგატეხილია, არც კი სჯერათ, რომ როდესმე აქ მართლა გაშენდება სპორტული კომპლექსი. ზოგიერთი არაობიექტურად მსჯელობს, მაგალითად, გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც რედაქციის მუშაკები დაადანაშაულეს იმაში, რომ სტადიონთან ახლოს საცხოვრებელი კორპუსები აშენდა...





**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** მოსახლეობა ეცნობა ახალი სპორტული კომპლექსის პროექტს (ზემოთ მარცხნივ); ასე გამოიყურება დღეს ყოფილი სტადიონი; ქვევით — ვ. კიკნაძე (ფოტო მარცხნივ) და მ. ვარვარიძე (ფოტო მარჯვნივ) ახსნა-განმარტებას აძლევენ მცხოვრებლებს.

---

### წოდების მინიჭება

**სსრ კავშირის** ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

**ცურვაში** — ანა ელიზბარაშვილს (თბილისი, „დინამო“);

**კრივში** — არმენ გევორქიანს (თბილისი, განათლების სამინისტრო), მირზა ხურციძეს (ქუთაისი, პროფკავშირები);

**სპორტულ ტანვარჯიშში** — ეკატერინე ბარამიას, ხათუნა მარგიევას, ცირა დემეტრაშვილს (სამივე — თბილისი, განათლების სამინისტრო), ინგა ბოლქვაძეს (ბათუმი, განათლების სამინისტრო), ვლადიმერ მარცოუხას (თბილისი, ასკ);

**საგზატკეცილო ველორბოლაში** — რომან სავიცკის (თბილისი, პროფკავშირები);

**ბატუტზე ხტომაში** — მალხაზ იგიტხანიანს (ქუთაისი, „შრომითი რეზერვები“), ნინო შერმადინს (თბილისი, „შრომითი რეზერვები“).

მუშათა სპარტაკიადა ~~~ ნუ დავუშვებთ მოჩვენებითობას, სიყალბეს

# კოლექტივების დიდი გამოცდა

მუშათა პირველი რესპუბლიკური სპარტაკიადა ფიზკულტურულ კოლექტივებში გამართული შეჯიბრებებით დაიწყო. კოლექტივებს და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ადგილობრივ საბჭოებს უფლება მიეცათ სპარტაკიადის პროგრამის შედგენისას გაითვალისწინონ თავიანთი ტრადიციები, პირობები და შესაძლებლობები. ერთი სიტყვით, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭო, მათ თავს არ ახვევს სპორტის სახეობებს, ინარჩუნებენ თვითმმართველობის სრულ უფლებას.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკის უმეტეს რაიონებში მუშათა სპარტაკიადები გამოირჩევა მასობრიობით, ორგანიზებულობით, საზეიმო ელფერით. აქტიურად მუშაობს რესპუბლიკურ საბჭოსთან არსებული შტაბი.

ასპარეზობაში ჩაბმულია 1700-ზე მეტი ფიზკულტურის კოლექტივი, 180 ათასამდე მუშა-მოსამსახურე, კოლმეურნე.

ორგანიზებულობითა და მასობრიობით გამოირჩევა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის (გენერალური დირექტორი რ. ჰეიშვილი), ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველ ო ს" (თავმჯდომარე ზ. თოდუა), სოფელ ორსანტიის სანერგე საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი რ. ბუსელია), თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის (გენერალური დირექტორი ვ. თორდია), დმანისის სოფელ განთიადის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ა. ტატუაშვილი), მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის (თავმჯდომარე გ. წითლიძე), სამტრედიის რაიონის ღანირის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ა. ქუნთელია) ფიზკულტურის კოლექტივები.

საგანგებოდ უნდა ითქვას მსუბუქი მრეწველობის, მეტალურგების, ქიმიური და ნავთობქიმიური, ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობის, კავშირგაბმულობის, აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირების დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტების ხელმძღვანელებზე, რომლებმაც ოპერატიულად გადაწყვიტეს ამ შეჯიბრების ჩატარების ორგანიზაციული საკითხები, კერძოდ თელავის, ქართლის, ზესტაფონის, ახალციხის, ხობის რაიონების, ქალაქების ჭიათურის და გორის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფიზკულტურის კოლექტივებში.

სამწუხაროდ, პროფკავშირების დარგობრივი კომიტეტების, ნფსს რაიონული საბჭოების ხელმძღვანელების ერთმა ნაწილმა ჯეროვნად ვერ შეაფასა სპარტაკიადის მნიშვნელობა, მისი ამოცანები, მიზნები— ფიზკულტურა და სპორტი ხომ ადამიანის კეთილდღეობას ემსახურება და ეს საერთო საზრუნავია.

**არაორგანიზებულად, უსისტემოდ, დაუგეგმავად, ხახელდახელოდ მიმდინარეობს მუშათა სპარტაკიადა ადგილმრეწველობის და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, კულტურის, მედიცინის, ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების დაქვემდებარებ უ ლ ორგანიზაციებში, მარნეულის, ცხაკაიას, წალკის, ჩხოროწყუს, ხაშურის, ბორჯომის, ბოგდანოვკის, ყაზბეგის, ადიგენის რაიონების ფიზკულტურულ კოლექტივებში.** პროფკავშირების ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს პრეზიდიუმი წელსვე ნოემბერში შეაჯამებს და დასკვნებს გამოიტანს მუშათა სპარტაკიადის I და II ეტაპებზე გაწეული მუშაობის შედეგებიდან.

მაგალითად, გაუგებარია **რატომ მიმდინარეობს ხარაიონო ხპარტაკიადები ბოლნისის, ცხაკაიას, ხაშურის, ადიგენის, რაიონებში?** საქმე ის არის, რომ ამ რაიონების ფიზკულტურული ხელმძღვანელები **მოვლენებს წინ უსწრებენ. რატომ?** პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს და გაზეთ „ლელოში" გამოქვეყნებულ რეკომენდაციებში გარკვევით არის მითითებული, რომ I ეტაპის შეჯიბრებები ტარდება ფიზკულტურის კოლექტივებში 1988 წლის სექტემბრამდე. სამწუხაროდ, ზოგიერთ ფიზკულტურული ხელმძღვანელი მუშაკი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლდა ძველმოდური აზროვნებისაგან და, მაშასადამე საქმესაც ძველმოდურად უძღვება. სპარტაკიადა ამ რაიონებში მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით ტარდება, ეს **ღონისძიებები არ არის ხალხმრავალი და, რაც მთავარია. მშრომელებს გული არ მიუწევთ მისკენ, რადგან ცუდადაა ორგანიზებული.**

რესპუბლიკის მშრომელების მიმართ ფიზკულტურული ორგანიზაციები ვალში ვართ, აუცილებლად უნდა მივაღწიოთ ფიზკულტურისა და სპორტის ჭეშმარიტ მასობრიობას. პროფკავშირების პირველმა რესპუბლიკურმა მუშათა სპარტაკიადამ ხელი უნდა შეუწყოს რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და მასობრივი სპორტული მუშაობის მკვეთრ გაუმჯობესებას.

**ИРОДИ ბეჟაშვილი,**

**პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს მშრომელთა ფიზიკური აღზრდის სამმართველოს უფროსი.**

მიმდინარეობს „ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდის ერთთვიური"



## ბანაკს სპორტული შეჯიბრებები ალამაზებს

**ცოტაც** და აწკრიალდება ახალი სასწავლო წლის დაწყების მაუწყებელი ზარი. სკოლის მერხებს მიუჯდებიან მზით გარუჯული, გაკაჟებული მოსწავლეები და ერთმანეთს ზაფხულის შთაბეჭდილებებს გაუზიარებენ. მანამდე, კი კვლავ ახმიანებს პიონერთა ბანაკებს ბავშვთა ჟრიამული.

ფიზკულტურელის საკავშირო დღეს განსაკუთრებით მომზადებული შეხვდა სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების ცხვარიჭამიის პიონერთა ბანაკი „მზიანეთი".

ადრევე დაიგეგმა ამ დღისადმი მიძღვნილი ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებები. შეჯიბრებები ჩატარდა ჭადრაკში, შაშში, 60 მეტრზე სირბილში, მაგიდის ჩოგბურთში, ფეხბურთში. პროგრამაში იყო აგრეთვე „მხიარული სტარტები". პიონერებმა ფეხით დალაშქრეს ცხვარიჭამიის შემოგარენი.

— „ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდის ერთთვიური" ეს-ესაა დაიწყო. ბანაკის დახურვამდე ვაპირებთ შეჯიბრებები გავმართოთ სპორტის სხვა სახეობებშიც, — გვითხრა ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელმა ნათელა კუდუხაშვილმა...

ზაფხულის არადადეგები იწურება, საყოველთაო-სახალხო ლაშქრობა მხნეობისა და ჯანმრთელობისათვის კი გრძელდება.



**ჯემალ კასრაძე.**

**ავტორის ფოტოები.**





## შედგება მეხუთე რაუნდი?

### საჭადრაკო სამყაროს ყურადღების ცენტრში კვლავ მოექცა გარი კასპაროვი და ანატოლი კარპოვი

**როგორც** იცით, მოსკოვში დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა 55-ე საკავშირო ჩემპიონატი, რომელმაც ვერ შეძლო ჩემპიონის ვინაობის დადგენა. ტურნირის დახურვაზე მსაჯთა მთავარმა კოლეგიამ გამოაცხადა, რომ, ჩემპიონატის დებულების მიხედვით, ტურნირში I-II ადგილებზე გასული მოჭადრაკეები — გ. კასპაროვი და ა. კარპოვი — ოქროს მედლისთვის ბრძოლას დამატებით მატჩში (4 პარტია) განაგრძობენ, ხოლო თუ ეს პაექრობა ფრედ (2:2) დამთავრდა, დავა გაგრძელდება ერთ-ერთი მხარის პირველ მოგებამდე. მაგრამ მსოფლიოს ექსჩემპიონმა ა. კარპოვმა სიტყვა ითხოვა და განაცხადა, რომ იგი ჯერჯერობით ვერ იტყვის, ითამაშებს თუ არა დამატებით მატჩს. ეს მან ახსნა ჩემპიონატის ურთულესი რეგლამენტით, მისი აზრით, ძირითად ტურნირსა და დამატებით მატჩს შორის ძალზე ხანმოკლე შესვენებით და მსოფლიო ჩემპიონთან საკმაოდ ხანგრძლივი შეჯიბრების პერსპექტივით.

კარპოვის შემდეგ გ. კასპაროვი გამოვიდა. მან თქვა, რომ ხელს აძლევს დამატებითი მატჩის 4 პარტიაც, ბრძოლის შემდგომი გაგრძელების გარეშე. მსოფლიო ჩემპიონმა დამსწრეთ შეახსენა, რომ იგი კოეფიციენტთა სისტემაში კარპოვთან შედარებით უფრო მაღალ საფეხურზეა და ამდენად დამატებითი მატჩის საყაიმო ანგარიში — 2:2 — მას მოუტანს გამარჯვებას.

ორივე მოჭადრაკეს 21 აგვისტოს დილამდე მიეცა მოფიქრების უფლება. თუ რომელიმე მათგანმა უარი განაცხადა, მატჩში მონაწილეობაზე, მას მიეკუთვნება ვერცხლის მედალი, ხოლო მეტოქეს — ოქროსა.

ჩემპიონატის დახურვაზე ბრინჯაოს მედლები გადაეცათ ვ. სალოვსა და ა. იუსუპოვს, რომლებმაც 10-10 ქულით III-IV ადგილები გაიყვეს (შეგახსენებთ, რომ კასპაროვმა და კარპოვმა 11,5-11,5 ქულა მოაგროვეს). აი, როგორ განაწილდა დანარჩენი ადგილები: V-VI. ვ. ივანჩუკი, ვ. ეინგორნი —. 9,5-9,5, VII. ლ. იუდასინი — 9, VIII. ა. ბელიავსკი — 8,5, IX-XIII. რ. ვაგანიანი, ვ. გავრიკოვი, ვ. სმისლოვი, ა. სოკოლოვი, ი. ელვესტი — 8-8, XIV. ა. ხალიფმანი — 7,5, XV-XVI. მ. გურევიჩი, ი. სმირინი — 7-7, XVII-XVIII. ვ. მალანიუკი, ა. ხარიტონოვი — 6-6.

პროფკავშირთა პირველობაზე

## პირველობაც, საგზურიც...

**საგარეჯოში** დამთავრდა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პირველი ჩემპიონატი ჭადრაკში ქალთა შორის. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა. 8,5 ქულით გაიმარჯვა თბილისელმა ოსტატობის კანდიდატმა ლია სადუნიშვილმა. მან ყველა ძირითადი მეტოქე დაამარცხა.

II და III საპრიზო ადგილებიც ოსტატობის კანდიდატებმა დაიკავეს. 8 ქულით მეორე იყო ქუთაისელი ეკატერინე ფახიროვა, ხოლო მესამე — თბილისელი მარინე ლებანიძე (6,5 ქულა).

ჩემპიონობასთან ერთად ლია სადუნიშვილმა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო საბჭოს პირველობის საგზურიც მოიპოვა. ეს ტურნირი 20 სექტემბერს ტაშკენტში დაიწყება.

**ანზორ მაჩიტიძე,**

**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

ინვალიდები და სპორტი

## გამოვლენ ახალ ზელანდიაში

საქართველოს ყრუთა საზოგადოების წარმომადგენლები, თავისუფალი სტილის მოჭიდავეები პირველად იასპარეზებენ ინვალიდთა მსოფლიო სპორტულ თამაშებში, რომელიც 1989 წლის იანვარში ახალ ზელანდიაში ჩატარდება. სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში ჩვენი რესპუბლიკიდან მიწვეულნი არიან ინვალიდთა 1988 წლის საკავშირო სპორტული თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები: ვ. კარიბოვი და ა. ზაპოროჟეცი (I ადგილები), ვ. მუსაევი, რ. ფოლადაშვილი (II ადგილები), ნაკრებში მიწვეულია აგრეთვე ვ. პლიევი, რომელმაც თამაშებში IV ადგილი დაიკავა, მაგრამ სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა. სსრ კავშირის ნაკრებმა პირველი საწვრთნელი შეკრება ორჯონიკიძეში ჩაატარა.

### კვირიდან კვირამდე

**„პრავდა" — 15 აგვისტო:** ამჟამად სპორტის მოყვარულთა და სპეციალისტთა ყურადღება, ძირითადად, სეულის ოლიმპიადისკენ არის მიპყრობილი. ერთ-ერთ ოლიმპიურ სახეობაზე, ცურვაზე, გვესაუბრება სპორტის ოსტატი ბ. ჩერნიშევი წერილში „დროს გამოდევნებით".

**„კომსომოლსკაია პრავდა" — 16 აგვისტო.** „ბონჟურ, ჰოკეის ოსტატებო". საფრანგეთში თანდათან უფრო პოპულარული ხდება შაიბიანი ჰოკეი. თავიანთი კლუბების გასაძლიერებლად ფრანგებმა საბჭოთა ჰოკეისტებიც მიიწვიეს.

**18 აგვისტო.** „იკაროსები სწავლობენ ფრენას". ინტერვიუ ცნობილი ჰოკით მხტომელის სერგეი ბუბკას მწვრთნელ ვიტალი პეტროვთან.

**19 აგვისტო.** „ბუმის შემდეგ". ხუთი წელიწადი იარსება ჩვენს ქვეყანაში კარატეს ფედერაციამ. რატომ აიკრძალა შემდგომში სპორტის ეს სახეობა?

**„სოვეტსკი სპორტი" — 18 აგვისტო.** „იქ, სადაც თოვლის ჯიქები სეირნობენ". მომავალ წელს საბჭოთა ალპინისტები ჰიმალაების დალაშქვრას აპირებენ.

**18 აგვისტო.** „ემანსიპაცია სპორტში: მოდა თუ კანონზომიერება?" ეგრეთწოდებული „სუსტი სქესის" წარმომადგენლები სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობენ სპორტის „მამაკაცური" სახეობებისადმი.

**20 აგვისტო.** „ფორტუნას საჩუქარი". გაზეთის სტუმარია ამერიკული პროფესიული კალათბურთის ვარსკვლავი დომინიკ უილკინსი.

**„სოციალისტიჩესკაია ინდუსტრია" — 16 აგვისტო.** „უ-შუ ყველა ასაკისათვის". ჰუსეინ მაგომაევი სიკვდილს სპორტმა გადაარჩინა. ამ ცოტა ხნის წინ ის და მისი აღსაზრდელები თბილისში იმყოფებოდნენ. მათი სტუმრობის ერთ-ერთი მიზანი ჩინური ტანვარჯიშის — უ-შუს პროპაგანდა იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

**გუშინ** გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის XX ტურის მატჩები:

„სპარტაკი“ — „დნეპრი“ 2:2
„მეტალისტი“ — „დინამო“ კ. 1:1
„ტორპედო“ — „კაირატი“ 2:0
„ჟალგირისი“ — „ლოკომოტივი“ 1:2
„ზენიტი“ — „დინამო“ მნ. 0:0

ბაქოს „ნეფთჩისა“ და ერევნის „არარატის“ შეხვედრის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ანგარიში იყო — 1:1.

## ვ. ლობანოვსკი უბრუნდება ფეხბურთს

**იტალიის** ქალაქ ლივორნოს საერთაშორისო ტურნირზე კიევის „დინამოს“ ფეხბურთელთა წარმატებითი გამოსვლის შემდეგ ამ გუნდისა და სსრ კავშირის ნაკრებას მთავარი მწვრთნელი ვ. ლობანოვსკი ევროპის წამყვანი ნაკრები გუნდების სემინარზე მიიწვიეს. მან აქ წაიკითხა მოხსენება, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია, მაგრამ 17 აგვისტოს იგი შეუძლოდ გახდა. ლობანოვსკი მოათავსეს იტალიის ქალაქ აოსტას კლინიკაში, თავი იჩინა უდიდესმა ფიზიკურმა და ნერვულმა დაძაბულობამ.

გამოკვლევამ ცხადყო, რომ ავადმყოფის მდგომარეობა გაუმჯობესდა, ტკივილები გულის არეში შეწყდა, ვ. ლობანოვსკი კვლავ უბრუნდება საფეხბურთო საქმეებს.

## მწვრთნელთა თათბირი

საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოში გაიმართა რესპუბლიკის I ლიგის გუნდების მწვრთნელთა თათბირი. მოისმინეს ჩვენი გუნდების პირველი წრის შედეგები, დაისახა პერსპექტივები შემდგომში გუნდებში თამაშის კლასის ამაღლებისა და დისციპლინის გასაუმჯობესებლად.

## II ლიგა

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა მორიგი ტურის შეხვედრები:

თბილისის „ლოკომოტივი“-ოლიმპიური მომზადების ცენტრის გუნდმა თავის მინდორზე დიდი ანგარიშით 3:0 დაამარცხა ბაქოს „ბაკინეცი“. გასვლით მატჩში „შევარდენი“სპი-ს ფეხბურთელები კიროვაბადის „ქიაფაზს“ შეხვდნენ. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 4:2. ქუთაისის ტორპედოელებმა თავის მოედანზე თანაკლუბელებს ვოლჟსკელ ფეხბურთელებს უმასპინძლეს. შეხვედრა დამთავრდა ქუთაისელთა გამარჯვებით — 1:0.

# საზრუნავი და პასუხისმგებლობა საერთო უნდა იყოს

## ფეხბურთში საქართველოს პირველობის მატჩებში გამოვლენილ უხეშ დარღვევებზე იმსჯელა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა

**პრეზიდიუმის** ეს სხდომა ფაქტიურად საქართველოს სპორტსახკომის ამას წინათ გამართული კოლეგიის სხდომის თავისებური გაგრძელება იყო. მკითხველს ალბათ ახსოვს, ამავე საკითხთან დაკავშირებით სპორტსახკომის კოლეგიის სხდომიდან მომზადებულ რეპორტაჟში, რომელიც „ლელომ“ 13 აგვისტოს გამოაქვეყნა, აღნიშნული იყო, რომ მთელი რიგი პრობლემებისა და პასუხისმგებელი მუშაკების პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხების განხილვა, გარდა სხვა ორგანიზაციებისა, დაევალა საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებას.

საქართველოს პირველობაში მონაწილე ფეხბურთელთა კოლექტივების აბსოლუტური უმრავლესობა ამ სპორტულ საზოგადოებაში შედის. ამიტომ, ვფიქრობთ, სპორტსაზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ სწორი პოზიცია აირჩია, როცა სპორტსახკომის კოლეგიის მსგავსად, პრეზიდიუმის დღის წესრიგში შეიტანა ჩვენს რესპუბლიკაში ფეხბურთის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების, აგრეთვე სპორტმასობრივი ღონისძიებების ჩატარებისას სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის თაობაზე რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების ბოლოდროინდელი დადგენილებების შესრულების მიმდინარეობის საკითხი. კონკრეტულად კი იმსჯელეს ამ საქმეში პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ფეხბურთისა და სპორტული თამაშების სამმართველოს მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ.

პრეზიდიუმის სხდომაზე კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი იმ დარღვევებს, რომლებმაც ბოლო დროს კვლავ მიაყენა ჩრდილი საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატს (ფაქტებს აქ აღარ მოვიტანთ, რადგან „ლელოში“ ამის შესახებაც გამოქვეყნდა 13 აგვისტოს ნომერში). პრეზიდიუმი ღრმად ჩაწვდა ჩვენს საფეხბურთო მეურნეობაში ნეგატიური მოვლენების ხელშემწყობ მიზეზებს. ყველაფერზე ითქვა პირდაპირ, დაუფარავად, მკაცრად. იყო დრო, როცა ასეთი დარღვევებისთვის პასუხს მხოლოდ საფეხბურთო კოლექტივებს და მათ ხელმძღვანელებს სთხოვდნენ, რაც, ცხადია, არ იყო მართებული. სამწუხაროდ, არ გაგვაჩნდა უდისციპლინობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი სისტემა და აქედან გამომდინარე დანაწევრებული იყო პასუხისმგებლობაც. ამიტომაც, ჩვეულებრივ ამბად იქცა ხულიგნური გამოხდომები საფეხბურთო მინდვრებზე, მაყურებელთა უტაქტობა, მსაჯების დაშინება, გასახდელში თავგასულ გულშემატკივართა შეჭრა, არბიტრების „გაპარება“ რაიონიდან და ასეთ უმსგავსოებებში თავს ყოველთვის დამნაშავედ როდი გრძნობდნენ ადგილობრივი სპორტული ხელმძღვანელები, მეტიც, ზოგჯერ ისინი გვევლინებოდნენ ან წამქეზებლად ან წამქეზებელთა მფარველად.

სხდომაზე აღინიშნა ისიც, რომ გუნდის უფროსები ზერელედ ეკიდებიან აღმზრდელობით მუშაობას, რაც მათი ძირითადი მოვალეობაა. გუნდებში მოისუსტებს კონტროლი და მომთხოვნელობა. რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების ბოლოდროინდელი დადგენილებებიდან პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ფეხბურთისა და სპორტული თამაშების სამმართველოს რომ სერიოზული დასკვნები გაეკეთებინა, დადგენილებების მოთხოვნების შესასრულებლად პრაქტიკული ნაბიჯები რომ გადაედგა, საქმე ჩვენს საფეხბურთო მეურნეობაში სავალალო შედეგებამდე არ მივიდოდა. ითქვა ისიც, რომ ნაკლოვანებათა უმრავლესობას ავლენს პრესა, სპორტული მუშაკები კი ამ შემთხვევაში მხოლოდ ჟურნალისტების მიერ მხილებული დარღვევების ფიქსატორების როლში გამოდიან.

პრეზიდიუმმა განხილულ საკითხთან დაკავშირებით პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ფეხბურთისა და სპორტული თამაშების სამმართველოს მიერ გაწეული მუშაობა ჩათვალა არადამაკმაყოფილებლად.

მიღებულია დადგენილება, სადაც მკაფიოდ, ვრცლადაა ნაჩვენები რესპუბლიკის საფეხბურთო მეურნეობაში მუშაობის გარდაქმნის კონკრეტული გზები.

### პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა სამუშაოდან გაათავისუფლა:

**ა. სტურუა** — სამტრედიის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი;

**ჟ. ელაშვილი** — ამავე გუნდის მწვრთნელი — აღმზრდელობითი მუშაობის ჩაშლისათვის და პირადი უღირსი საქციელისათვის (მათი სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე მიღებულია პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმისა და ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო პროფკომიტეტის ერთობლივი დადგენილება);

**ს. ავალიანი** — ბათუმის „ავტომობილისტის“ გუნდის მწვრთნელი — მეტოქე გუნდთან წინასწარი გარიგებისათვის. როგორც არასპეციალისტს აეკრძალა ფეხბურთში მწვრთნელად მუშაობა;

**ვ. წულუკია** — სოხუმის უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი — მეტოქე გუნდთან წინასწარი გარიგებისათვის. მასვე აეკრძალა პროფკავშირულ საფეხბურთო გუნდებში მწვრთნელად მუშაობა;

**ხ. ლომიძე** — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ხაშურის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

### სასტიკი საყვედური გამოეცხადათ:

**გ. ბაქანიძეს** — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ფეხბურთისა და სპორტული თამაშების სამმართველოს უფროსს;

**ჯ. ვაშაკიძეს** — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სამტრედიის რაიონული საბჭოს თავმჯდომარეს;

**ი. სტურუას** — სამტრედიის სპორტკლუბ „ლოკომოტივის“ თავმჯდომარეს.

### მიეთითათ:

**ზ. გვაჯავას** — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების აფხაზეთის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს;

**ა. მეგრელაძეს** — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების აჭარის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს.

**პრეზიდიუმმა** მხედველობაში მიიღო, რომ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების გეგეჭკორის რაიონის საბჭოს თავმჯდომარე გ. ქილაიას პერსონალური საკითხი განიხილა პარტიის რაიკომის ბიურომ, გამოუტანა მას საყვედური და პირობითადაა დატოვებული ხელმძღვანელ თანამდებობაზე. გეგეჭკორის სტადიონის დირექტორი ი. თორდინავა, რომელიც სტადიონზე ვერ უზრუნველყოფს წესრიგს და ერთ-ერთ მატჩში მაყურებელიც კი წააქეზა მსაჯების წინააღმდეგ, პრეზიდიუმის სხდომაზე არ გამოცხადდა. პრეზიდიუმმა სპორტსაზოგადოების რაიონულ საბჭოს დაავალა უმოკლეს ვადაში განიხილოს თორდინავას პერსონალური საკითხი და გაათავისუფლოს იგი თანამდებობიდან.

პრეზიდიუმმა ბათუმის „ავტომობილისტის“ გუნდი მოხსნა საქართველოს პირველობის გათამაშებიდან.

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

თქვენი გაზეთის 14 და 17 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილებთან დაკავშირებით, იმის შესახებ, რომ სამტრედიის რაიონის დაბა კულაშის სტადიონზე ფეხბურთის მატჩის ჩატარების დროს მოხდა ინციდენტი, გაცნობებთ შემდეგს:

შინაგან საქმეთა რაიგანყოფილება ინფორმირებული არ იყო აღნიშნული მატჩის ჩატარებაზე რაიონის სპორტკომიტეტის და გუნდის ხელმძღვანელობის მიერ. მხოლოდ გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის შემდეგ ჩვენი მოთხოვნით რაიონის სპორტკომიტეტმა მოგვცა ხისდამამუშავებელი კომბინატის ფეხბურთელთა გუნდის მატჩების კალენდარი. ამჟამად ყველა მატჩი უზრუნველყოფილია შს რაიგანყოფილების მუშაკებით. მომხდარ ინციდენტზე, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზეთში, გაირკვა შემდეგი: უწესრიგობა გამოიწვიეს გუნდის მოთამაშეებმა და არა მაყურებლებმა, რაც ხშირია გუნდის ხელმძღვანელობისა და მოთამაშეებისაგან. სამტრედიის შს რაიგანყოფილების ხელმძღვანელობის მიერ გაფრთხილებულია ხდკ-ს ადმინისტრაცია და გუნდის ხელმძღვანელობა, რათა გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობა ფეხბურთელებს შორის.

ბოდიშს ვუხდით მკითხველსა და რედაქციას პასუხის დაგვიანებისათვის.

**თ. ჯიბლაძე,**

სამტრედიის შს რაიგანყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი.

**რედაქციისაგან:** ჩვენ, ცხადია, არავითარი უფლება არ გვქონდა არ გამოგვექვეყნებინა ეს პასუხი, მაგრამ იმის უფლებას კი ვიტოვებთ, რომ გამოვთქვათ ეჭვი ერთ, ჩვენი აზრით, ძალზე მნიშვნელოვან საკითხზე, კერძოდ: „უწესრიგობა გამოიწვია გუნდის მოთამაშეებმა და არა მაყურებლებმაო“ — ვკითხულობთ პასუხში. მკითხველს შევახსენებთ, რომ ყველგან, სადაც კი ამ საკითხს განიხილავდნენ, კულაშის სტადიონზე შექმნილ უწესრიგობაში ბრალს სდებდნენ როგორც ფეხბურთელებს, ისე მაყურებლებს. აქვე გთავაზობთ ამონაწერს სულ ბოლო დოკუმენტიდან — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებიდან:

„თამაშის შემდეგ ფეხბურთელ თავაძეს ჩამოერთვა პირადი ბარათი იმის გამო, რომ საჩხუბრად იწევდა მსაჯისაკენ, ზოგიერთი მაყურებელი აჰყვა ფეხბურთელის ასეთ საქციელს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მსაჯს“. რა ხდება? რატომ შეეცადნენ მილიციის თანამშრომლები ამ ფაქტის მიჩქმალვას? ხომ არ შეიძლება სხვადასხვა ინსტანციებში საკითხის განხილვისას ერთს ამტკიცებდნენ, მილიციის წარმომადგენლები, მეორეს?..

# გაიცანით: „კოლხეთი“ (ხობი), „მეშახტე“ (ტყიბული)

**დაიწყო** საქართველოს პირველობის მეორე წრე პირველი ჯგუფის გუნდებს შორის. 23-ე ტურის ერთ-ერთ ცენტრალურ მატჩად ხობის „კოლხეთის“ და ტყიბულის „მეშახტის“ შეხვედრა ითვლებოდა.

„კოლხეთი“ მეორე ადგილზეა ვანის „სულორის“ შემდეგ. იგი 1986 წელს გადავიდა პირველ ჯგუფში და მას შემდეგ შეუპოვრად იბრძვის რესპუბლიკის ჩემპიონობისათვის. შარშან მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა პირველ ადგილზე გასულ მახარაძის „მერცხალს“. გუნდის უფროსი პაატა თათარიშვილი, უფროსი მწვრთნელი ფრიდონ გოცირიძე და მწვრთნელი ალიოშა ჭოჭუა „კოლხეთის“ ყოფილი ფეხბურთელები არიან. აქ აღიზარდნენ და შემდეგ თბილისის „დინამოში“ თამაშობდნენ დემურ ვეკუა, ავთანდილ ქანთარია.

ხობს კარგი სპორტული ბაზები აქვს. ფეხბურთი კი აქ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს, ცენტრალური სტადიონის გარდა ორი სათადარიგო მოედანია სპორტსმენების განკარგულებაში. სპორტულ სკოლა-ინტერნატში 110 ბავშვი ეუფლება ფეხბურთის საიდუმლოებას. „კოლხეთს“ დიდი სამსახური გაუწია განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტულმა სკოლამ (დირექტორი ნიკოლოზ ჭითავა), სადაც ფეხბურთის 3 ჯგუფია გახსნილი. აქ აღიზარდა ჭაბუკ ფეხბურთელთა საქართველოს ნაკრების წევრი ელდარ გვასალია, რომელიც „კოლხეთის“ ძირითად შემადგენლობაში გამოდის. ელდარი ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრების ოქროს და ვერცხლის პრიზიორია. გიორგი დოლბაია „შრომითი რეზერვების“ ნაკრებშია შეყვანილი. ამათ გარდა გუნდში არის კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა პერსპექტიული ფეხბურთელი, „კოლხეთის“ ფეხბურთელთა საშუალო ასაკი 23 წელია. ადგილობრივ სპორტსმენთა გარდა, გუნდში არიან მოწვეული ფეხბურთელებიც. სულ ახლახან აქ თბილისიდან მიიწვიეს მეკარე მამინაშვილი. ამ ფეხბურთელზე, რომელიც პერსპექტიულად ითვლებოდა და ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრიც იყო, კვლავ იმედს ამყარებენ სპეციალისტები, მათ შორის თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელები დ. ყიფიანი და მ. ხურცილავა. ამას წინათ, როცა „დინამო“ შეკრებაზე იყო ხობში, ადგილობრივ გუნდში შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით (გუნდს არ ჰყავდა მეკარე და მის ნაცვლად მინდვრის მოთამაშე იცავდა კარს) „დინამოს“ ხელმძღვანელებმა ხობის გუნდს შესთავაზეს მამინაშვილის კანდიდატურა, რათა ჩვენი ფეხბურთის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ფეხბურთელს სათამაშო პრაქტიკა მიეღო, სპორტტექნიკურმა კომისიამ კი დებულების შესაბამისი მუხლის გარდა, ისიც გაითვალისწინა, რომ ადრე ეს ფეხბურთელი უკვე გამოდიოდა ხობელთა გუნდში.

* * *

ტყიბულის „მეშახტე“ საკმაოდ ტიტულოვანი კოლექტივია. მართალია, მას ახლა გათამაშების ცხრილში შუა ადგილი უკავია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ მისი გამოსვლები საკავშირო შეჯიბრებებზე. 1967-1970 წლებში იყო მეორე ლიგის ბინადარი, „მეშახტე“ ორჯერ დაეუფლა შავგულიძის თასს, 1980-1981 წლებში საქართველოს ჩემპიონი იყო, ამდენჯერვე მოიპოვა საქართველოს თასი (1964, 1976 წწ.), 1980 წელს კი საქართველოს სუპერთასიც მოიგო. ტყიბულელები უკანასკნელი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის მეორე ლიგის ზონალურ პირველობაში გამოდიოდნენ. გუნდმა გასულ წელს ვერ შეინარჩუნა ადგილი ოსტატთა გუნდებში და საქართველოს პირველ ჯგუფში გადმოინაცვლა. ასეთი ჩავარდნა, რასაკვირველია, უმიზეზოდ არ მომხდარა. გუნდიდან 13 უპერსპექტივო ფეხბურთელი დაითხოვეს, შეიცვალა მწვრთნელებიც. „მეშახტეს“ ახლა სათავეში უდგანან ყოფილი ფეხბურთელები, უფროსი მწვრთნელი იოსებ ლორთქიფანიძე და მწვრთნელი დავით გვენეტაძე. მწვრთნელებს მთელი ყურადღება გადატანილი აქვთ ადგილობრივი ფეხბურთელების ძიებაზე და აღზრდაზე. ძირითად შევსებას კი მაინც ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სპეციალიზებული სკოლა იძლევა (დირექტორი გიორგი ცირეკიძე), აქ 212 ბავშვი სწავლობს. ამჟამად სკოლის ხუთი აღზრდილი თამაშობს „მეშახტეში“. თანდათან ხორციელდება გუნდის გაახალგაზრდავება — საშუალო ასაკი 24 წელია. თბილისის „დინამოს“ ღირსებას ადრე ტყიბულელთაგან იცავდა ბადრი ქარქაშაძე, ქუთაისის „ტორპედოში“ თამაშობდნენ რომან სირაძე, მურად წივწივაძე და სხვები. დღეს კი იასონ ბზიკაძე ქუთაისის „ტორპედოს“ კაპიტანია.

ასეთი მდიდარი ისტორიის მქონე გუნდების ამასწინანდელი შეხვედრა დიდ ინტერესს იწვევდა. თამაშზე მაყურებელიც საკმაოდ მოვიდა. (შედეგს „ლელო“ უკვე იუწყებოდა).

მატჩი კორექტულად ჩატარდა. არც ერთ ფეხბურთელს არ მიუღია სიტყვიერი გაფრთხილებაც კი. თამაშს სჯიდნენ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ველოდი მიმინოშვილი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯები ტრისტან ნიშნიანიძე და დურმიშხან მენთეშაშვილი. მატჩის კომისარი იყო რესპუბლიკის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის მდივანი ვლადიმერ გვარჯელაძე.

**ნუგზარ ჟვანია,**
„ლელოს“ საკ. კორ.
ხობის რაიონი.

# ოლიმპიური მოზაიკა

● **დასავლეთ** გერმანიის ოლიმპიურ გუნდში ჯერჯერობით 100 ვაკანტური ადგილია დარჩენილი. შერჩევითი შეჯიბრებების მეორე ეტაპმა ოლიმპიელთა საკმაოდ დიდი ჯგუფი გამოავლინა: 28 მოცურავე, 10 ველოსიპედისტი, ამდენივე მძლეოსანი და 15 ნიჩბოსანი. სეულის საგზური 250 სპორტსმენს უკვე მოპოვებული აქვს. შესარჩევი შეჯიბრებების ბოლო ეტაპი 30 აგვისტოს დამთავრდება. გფრ-ის დელეგაციის ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ მათი სპორტსმენები ოლიმპიადაზე 30-მდე მედალს მოიპოვებენ.

● **76 წლის** უნგრელის იოჟეფ შირისთვის სეულის თამაშები... მეთორმეტე ოლიმპიადა იქნება. პირველად ოლიმპიურ თამაშებში იგი 1936 წელს გამოვიდა — მონაწილეობდა სპრინტერ მძლეოსანთა შეჯიბრებაში, ბოლო ოლიმპიადებში დოქტორ შირი გამოდიოდა როგორც მწვრთნელი, სეულში კი იგი ჩავა როგორც მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

● **როგორც** ცნობილია, სეულის ოლიმპიური თამაშები დაიწყება 17 სექტემბერს, ფინიშს კი 2 ოქტომბერს გადაკვეთს. ეს პერიოდი არჩეულია ბოლო 30 წლის მანძილზე ატმოსფერული პროცესების გულდასმით შესწავლის შედეგად. ამინდის სამსახურის მონაცემებით ჰაერის საშუალო ტემპერატურა ამ პერიოდში 19 გრადუსია. გარდა ამისა ეს მონაკვეთი სამ კვირადღეს მოიცავს. ეს კი ადგილობრივ სპორტისმოყვარულებს შეჯიბრებებზე დასწრების დამატებით შესაძლებლობებს მისცემს.

**სამხრეთ** კორეის ტერიტორიაზე ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტაში მონაწილეობას მიიღებს 30 სპორტული ჟურნალისტი. ეს საინტერესო სიახლეა. საორგანიზაციო კომიტეტმა უკვე შეარჩია ესტაფეტაში მონაწილე პრესის მუშაკები. ისინი არიან დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, გფრ-ის, ესპანეთის, ჩინეთის, ავსტრალიის, ფინეთის, ჰონკონგისა და აშშ-ს წარმომადგენლები.

**ოლიმპიური** თამაშებისთვის სპორტსმენებთან ერთად გულმოდგინედ ემზადებიან... ძაღლები. 64 საუკეთესო მეძებარი ინტენსიურ წვრთნას გადის გამოცდილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით. მეძებრებს თამაშების დროს ორი დავალება ექნებათ შესასრულებელი — აღმოაჩინონ ასაფეთქებელი ნივთიერებანი და ნარკოტიკები.

**როგორც** ვიუწყებოდით. ამ დღეებში მსოფლიოს ორი უძლიერესი სპრინტერი — ამერიკელი კარლ ლუისი და კანადელი ბენ ჯონსონი ციურიხში შეხვდა ერთმანეთს. მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ოლიმპიადამდე ისინი კიდევ ორჯერ იასპარეზებენ. ახლა ზუსტდება სპორტსმენთათვის გამოყოფილი საპრემიო ფონდის ოდენობა.

## ტელეტაიპი - მაიიხველი

**მონრეალი.** პროფესიული ჰოკეის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა გი ლეფლერმა დიდ სპორტს თავი 1984 წელს მიანება. მაშინ იგი „მონრეალ კანადიენსში" თამაშობდა. ლეფლერმა გადაწყვიტა დაბრუნდეს სპორტში და თავისი შესაძლებლობები „ნიუიორკ რეინჯერსში" . გამოსცადოს. კლუბი თანახმაა შეისყიდოს ვარსკვლავი, მაგრამ სეზონის დაწყებამდე მან უნდა დაამტკიცოს, რომ კლუბს გამოადგება. თუ მან აღიდგინა ფორმა. „რეინჯერსი" ორწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს.

**ხუმი.** დაიწყო მშვილდოსანთა საკავშირო ჩემპიონატი, რომელიც ამავე დროს ოლიმპიური შესარჩევი ტურნირია. სეულში, როგორც ცნობილია, სამი მშვილდოსანი ქალი და ამდენივე ვაჟი გაემგზავრება. ოთხმა სპორტსმენმა სეულის საგზური ადრევე გაინაღდა. ესენი არიან: ვლადიმერ ეშეევი, ლიუდმილა არჟანიკოვა, იური ლეონტიევი და ტატიანა მუნტიანი. დარჩენილ ორ ადგილზე პრეტენზიას აცხადებს ჩემპიონატის მონაწილეთა დიდი ჯგუფი. მათში ლიდერობას ჯერჯერობით ნატალია ბუტუზოვა და სტანისლავ ზაბროდსკი ინარჩუნებენ.

**რიგა.** გაიმართა კალათბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის — „რიგა 88-ის" მორიგი შეხვედრები. შვეცია — ლატვია 59:61 (31:27), ავსტრალია — ბულგარეთი 73:69 (32:48, 67:67), ჩეხოსლოვაკია — უნგრეთი 71:55 (33:35), სსრ კავშირი-II — ესტონეთი 94:46 (36:24). მთავარი პრიზისათვის ბრძოლას წარმატებით განაგრძობენ: ავსტრალიის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირი-II-ის კალათბურთელები.

**ერევანი.** დამთავრდა საკავშირო შეჯიბრება საგზატკეცილო ველორბოლაში. ბოლო სახეობაში — 210 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლაში 23 წლის ტალინელმა არვი ტამესალუმ იმარჯვა. საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობა საბოლოოდ დაზუსტდება ქვეყნის ჩემპიონატზე, რომელიც 25-29 აგვისტოს ჩატარდება.

**პერტი (ავსტრალია).** საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა წინასაოლიმპიადო ტურნეს ბოლო, მეექვსე მატჩი ამ ქალაქში ჩაატარა და კვლავ გაიმარჯვა. ქვეყნის ეროვნული ნაკრები მან ამჯერად 104:81 (63:37) დაამარცხა.

**ირკუტსკი.** მაგიდის ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი ჟურნალ „ოლიმპიისკაია პანორამას" პრიზზე საბჭოთა (ვაჟები) და ჩინეთის (ქალები) სპორტსმენთა გამარჯვებით დამთავრდა.

**ცინცინატი (აშშ).** ჩოგბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრების მეორე ტურში მარცხი განიცადა სსრ კავშირის ჩემპიონმა ანდრეი ჩესნოკოვმა. მას ავსტრალიელმა ჯონ ფროულიმ მოუგო — 6:1, 6:2. მესამე წრეში დამარცხება ჩაეთვალა ამერიკელ ჯიმი კონორსს, რომელიც თანამემამულე კევინ კარენთან სათამაშოდ არ გამოცხადდა. შვედმა ანდერს იარიდმა სძლია ამერიკელ ჯო რაივს — 6:1, 6:2.

## საჭადრაკო კომპოზიცია

### პაიკთა ალბუმი

ფართოდ ცნობილია ამბავი ჭადრაკის ერთი მოტრფიალისა, რომელმაც მეტად სწრაფად წააგო პარტია ოსტატთან ერთდროული თამაშის სეანსის დროს. ოსტატის გაკვირვებულ კითხვაზე, თუ რატომ თამაშობდა იგი მხოლოდ და მხოლოდ პაიკებით, აუღელვებლად უპასუხა:

— მართალია, ჭადრაკის არაფერი გამეგება, მაგრამ იმდენად მინდოდა თქვენთან თამაში, რომ ამხანაგს ვთხოვე ჩემთვის სახელდახელოდ ფიგურების სვლები ესწავლებინა. სამწუხაროდ, სავალალო შედეგი იმან განაპირობა, რომ მხოლოდ პაიკის სვლის შესწავლა მოვასწარი!

არ ვიცით, რამდენი სვლა ითამაშა პაიკებით მოყვარულმა, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ გამოჩენილ უნგრელ პრობლემისტს, საჭადრაკო კომპოზიციის საერთაშორისო კომისიის პირველ პრეზიდენტს დიულა ნეუკომს (1892-1957) ამ ანეკდოტურმა ისტორიამ უკარნახა შეექმნა თავისი ამოცანა.

**დ. ნეუკომი, 1948**



შამათი 9 სვლაში

მართლაც, თეთრების სვლები სეანსის ენთუზიასტის მიერ ნათამაშევ პარტიას შეიძლება მივამსგავსოთ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ უსუსტესი ფიგურა აქ იმარჯვებს: 1. f5+ მფd5 2. fe+ მფc4 3. cd+ მფ:b4 4. a3+ მფ:c5 5. d4+ მფd6 6. e5+ მფe7 7. f6+ მფf8 8. g7+ მფg8 9. h7×. თურმე პაიკებსაც ბევრი რამ შესძლებიათ დაფაზე.

უფრო რთული და ორმხრივი თამაშია წარმოდგენილი დანიელი პრობლემისტის კომპოზიციაში, რომლის ამოხსნასაც გთავაზობთ, ძვირფასო მეგობრებო!

ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე

**ქ. ჰანეშანი, 1939**



შამათი 5 სვლაში

ველით თქვენს პასუხებს.

### ამოხსნა

„ლელოს" 7 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილი ვ. პაულის ტყუპი ოთხსვლიანი ამოცანის ამოხსნა: I. 1. კd7 b3 2. მc5 b2 3. მa6+ მფa8 4. კc6×, II. 1. მe3 მფh1 2. მფf2 მფh2 3. მf1+ მფh1 4. კf3×. ჩვენი მკითხველების აზრით, საინტერესო, მსუბუქი და ლამაზი მინიატურული ამოცანებია. ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგზავნა სწორი პასუხი: უ. ლომიძე (სურამი), დ. რეხვიაშვილი (რაჭისუბანი, ბოლნისის რ.), რ. კახიძე (ბათუმი), რ. გურული (ქვ. საქარა, ზესტაფონის რ.), ნანა და გ. ჭკადუები (სოხუმი), ზ. დევნოზაშვილი (განთიადი, დმანისის რ.), ნ. ბესელაშვილი, ო. მამულაშვილი (ორივე — თბილისი).

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 21 აგვისტო.** რიტმული ტანვარჯიში — **9.15 (1);** „სპორტლოტოს" ტირაჟი — **10.20 (1);** სასტენდო სროლა. საერთაშორისო შეჯიბრება „მოსკოვის დიდ პრიზზე" — **21.15** საფეხბურთო მიმოხილვა — **23.45 (1);** სსრ კავშირის ჩემპიონატი სპიდვეიში — **0.25 (2).**

**22 აგვისტო.** საფეხბურთო მიმოხილვა — **11.05 (1)** და **20.30 (2);** სპორტი და კინო — **19.00 (1);** სსრ კავშირის ჩემპიონატი სპიდვეიში — **23.45 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 21 აგვისტო.** საფეხბურთო მიმოხილვა — **23.45.**

**საქართველოს რადიო. 21 აგვისტო.** რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი" — **14.30;** სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში I ლიგა — **21.30.**

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

**გფრ**

მე-2 ტური. „ჰამბურგი" — „ბორუსია" (დორტმუნდი) 0:0, „შტუტგარტი" — „ჰანოვერი" 2:1, „ნიურნბერგი" — „კიოლნი" 0:2, „ბოჰუმი" — „სენტ პაული" 0:0, „კარლსრუე" — „ბაიერნი" 2:2, „ბაიერი" (იურდინგენი) — „მანჰეიმი" 0:0, „კაიზერსლაუტერნი" — „ვერდერი" 0:0, „ბაიერი" (ლევერკუზენი) — „ბორუსია" (მიონჰენგლადბახი") 3:1.

**ჩეხოსლოვაკია**

პირველი ტური. „დუკლა" (პრაღა) — „რუდა ჰვეზდა" 1:2, „ნიტრა" — „ვიტკოვიცე" 1:4, „ბანიკი" — „დუკლა" (ბანსკე-ბისტრიცა) 5:2, „დუნაისკა სტრედა" — „ინტერი" 2:1, „ჰრადეც კრალოვი" — „ტრნავა" 1:1, „სლოვანი" — „ოლომოუცი" 1:1, „შკოდა" — „სპარტა" 0:0, „ბოჰემიანსი" — „სლავია" 2:4.

**საფრანგეთი**

მე-5 ტური. „კანი" — „ტულუზა" 5:1, „მეცი" — „ლილი" 3:1, „რესინგი" — „სტრასბურგი" 2:1, „კაენი" — „მონპელიე" 0:1, „მარსელი" — „ნიცა" 3:2, „ლანი" — „სოშო" 2:2, „მონაკო" — „პარი სენ-ჟერმენი" 1:0, „ლავალი" — „სენტ-ეტიენი" 1:1, „ნანტი" — „ოსერი" 3:2, „ბორდო" — „ტულონი" 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სოშო" | 5 | 10-2 | 11 |
| „მონაკო" | 5 | 8-2 | 11 |
| „ტულონი" | 5 | 6-1 | 11 |

**შენიშვნა:** მოგებისთვის გუნდებს 3 ქულა ერიცხებათ.

**ავსტრია**

მე-4 ტური. „კლაგენფურტი" — „რაპიდი" 1:4, „ადმირა" — „შტურმი" 2:1, „ვიენა" — „ტიროლი" 5:1, „ლინცერი" — „სენტ-პოლტენი" 1:2, „გრაცერი" — „ვინერ სკ" 3:2, „აუსტრია" — „შტეირი" 3:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აუსტრია" | 4 | 12-5 | 7 |
| „სენტ პოლტენი" | 4 | 10-4 | 6 |
| „ადმირა" | 4 | 6-4 | 6 |

**შვეიცარია**

მე-4 ტური. „არაუ" — „ქსამაქსი" 1:1, „ბელინცონა" — „ლოზანა" 1:1, „გრასჰოპერსი" — „სერვეტი" 4:0, „სენტ გალენი" — „ლუგანო" 4:1, „სიონი" — „ვეტინგენი" 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სიონი" | 4 | 5-2 | 6 |
| „ლუცერნი" | 3 | 6-3 | 5 |
| „გრასჰოპერსი" | 4 | 8-3 | 5 |

**შვეცია**

მე-15 ტური. „იურგორდენი" — „ესტერი" 2:2, „ერგრიუტე" — „ჰამარბიუ" 3:0, „მალმიო" — „ნორჩეპინგი" 2:1, „გაისი" — „ბრაგე" 2:1, „სუნდსვალი" — „გიოტებორგი" 1:0, აიკი — „ფრელუნდა" 4:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მალმიო" | 15 | 33-15 | 25 |
| „სუნდსვალი" | 15 | 23-16 | 19 |
| „გიოტებორგი" | 14 | 19-11 | 18 |

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

**სპორტული პროფილის რესპუბლიკური ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და მძლეოსნობის რესპუბლიკური სკოლები აცხადებენ 1973-74-75 წლებში დაბადებულ პერსპექტიულ მძლეოსან-სპორტსმენთა მიღებას 1988-89 სასწავლო წლისათვის.**

ჩარიცხული მოსწავლეები იცხოვრებენ ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სასპორტო-სასწავლო ცენტრის კეთილმოწყობილ სასტუმროში, ივარჯიშებენ ლენინის სახელობის სტადიონსა და მძლეოსნობის მანეჟში. მძლეოსან სპორტსმენებისათვის შექმნილია სწავლის, წვრთნისა და დასვენების კარგი პირობები.

გამოცდებისათვის მოსწავლე სპორტსმენებმა თან უნდა იქონიონ: სპორტული ფორმა, დაბადების მოწმობა (დედანი), ჯანმრთელობის ცნობა ფორმა № 191, 063, საკლასიფიკაციო წიგნაკი, მშდ-ს წიგნაკი, ცნობა საშუალო სკოლიდან, თუ რომელ კლასში სწავლობს და 6 ცალი ფოტოსურათი (3X4).

მისაღები გამოცდები დაიწყება ა/წლის 29 აგვისტოს 11 საათიდან მძლეოსნობის რესპუბლიკური სკოლის სპორტულ ბაზებზე.

მისამართი: თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 52. ვაგზლის მოედნის მიმდებარედ. ცნობებისათვის დარეკეთ ტელ. 67-18-34, 95-36-89.

**დირექცია.**

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს" მორიგი, 33-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1988 წლის 14 აგვისტოს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** გაიყიდა 1.667.359 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (67 ბარათი), მოგება 932 მანეთია, ოთხისთვის (2655) — 30, სამისთვის (42657) — 3.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** გაიყიდა 18.200.158 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (31 ბარათი) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (5263) — 180, სამისთვის (138 836) — 12.

## „სპორტპროგნოზი", 35-ე ტირაჟის პროგრამა (28-29 აგვისტო)

**სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასი (მეოთხედფინალი)** — პროგნოზი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | „კაირატი" (ალმა-ათა) — „დინამო" (მინსკი) | 28.VIII | 40 | 30 | 30 |
| 2. | „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „ნეფთჩი" (ბაქო) | 28.VIII | 50 | 20 | 30 |
| 3. | „მეტალისტი" (ხარკოვი) — „დინამო" (მოსკოვი) | 29.VIII | 40 | 10 | 50 |

**სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 4. | „ზვეზდა" (პერმი) — „როტორი" (ვოლგოგრადი) | 29.VIII | 40 | 40 | 20 |
| 5. | „გეოლოგი" (ტიუმენი) — ასკ (როსტოვი) | 29.VIII | 30 | 40 | 30 |
| 6. | ცსკა — „დაუგავა" (რიგა) | 29.VIII | 60 | 20 | 20 |
| 7. | „კუზბასი" (კემეროვო) — ასკ „კარპატი" (ლვოვი) | 29.VIII | 50 | 30 | 20 |
| 8. | „დინამო" (სტავროპოლი) — „კოტაიკი" (აბოვიანი) | 29.VIII | 80 | 10 | 10 |
| 9. | „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „კუბანი" (კრასნოდარი) | 29.VIII | 30 | 60 | 10 |
| 10. | „შინიკი" (იაროსლავლი) — „პახთაქორი" (ტაშკენტი) | 29.VIII | 30 | 40 | 30 |
| 11. | „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „პამირი" (დუშანბე) | 29.VIII | 30 | 60 | 10 |
| 12. | „ზარია" (ვოროშილოვგრადი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) | 29.VIII | 50 | 30 | 20 |
| 13. | „როსტსელმაში" (როსტოვი) — „კოლოსი" (ნიკოპოლი) | 29.VIII | 80 | 10 | 10 |

**შენიშვნა:** მეოთხედფინალურ მატჩებში მხედველობაში მიიღება ძირითადი დროის შედეგი.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05518